მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები და კომენტარები
თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნახშირღელეში
შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“
ფეროშენადნობების საწარმოს და აგლომერაციის უბნის
ექსპლუატაციის პირობების ცვლილების
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

29 ივნისი, 2026

2026 წლის პირველ ივნისს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე გამოქვეყნდა შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს და აგლომერაციის უბნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების (გზშ) შეფასების ანგარიში.

განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ გეგმავს მოქმედი საწარმოს მომიჯნავედ, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე 65-75% ფეროსილიციუმის, ფეროსილიკომანგანუმის და ფეროქრომის გადადნობის ტექნოლოგიური საწარმოო ხაზის და მცირე ზომის ავტოსადგომის მოწყობას; არსებული ძირითადი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ სასათბურე მეურნეობის დემონტაჟს და მის ადგილას ნედლეულის, კერძოდ კი მანგანუმის მადნისა და კოქსის საწყობის მოწყობას.

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ავტოსადგომის, ნედლეულის საწყობის, ახალი საწარმოო კორპუსისა და მასთან დაკავშირებული მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები (გვ. 35).

1. უკანონო მშენებლობა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია არც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და არც მშენებლობის ნებართვა, უკვე მოწყობილი აქვს საწარმოს შენობა (იხ. ფოტო).

მწვანე ალტერნატივის ჯერ კიდევ 2025 წლის 2 ივლისის შენიშვნებში მიუთითებდა, რომ სკოპინგის ანგარიშის განხილვისას ობიექტზე უკანონოდ

greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

მიმდინარეობდა სადნობ-ჩამოსასხმელი საამქროს ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი. მიმდინარე პერიოდისთვის შენობის შემდგომი მშენებლობა ნიშნავს, რომ კომპანიამ შეგნებულად უგულებელყო კანონის მოთხოვნები და გააგრძელა უნებართვო საქმიანობა.

მიმდინარე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროცედურა მხოლოდ გარემოს კანონდარღვევის ჩადენამდე არსებულ მდგომარეობამდე აღდგენის შემდეგ უნდა განახლდეს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფაქტის შესახებ არ უთითებს გზშ ანგარიშის ავტორი, ეჭვქვეშ დგება ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების ხარისხი და სხვა ფაქტების შესახებ მოცემული ინფორმაციის სისწორეც.

2. ალტერნატივების ანალიზი

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას: გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

ვინაიდან კომპანიამ შენობა უკვე ააშენა კონკრეტულ ადგილზე, ანგარიშში ადგილმდებარეობის ალტერნატივების განხილვა ხდება ფორმალური, რადგან კომპანია ალტერნატიულ სივრცეებს რეალურად აღარ განიხილავს. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კოდექსის მოთხოვნებს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, ანგარიში უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მდებარეობისა და ნულოვან (არაქმედების) ალტერნატივებს, არამედ გამოყენებული ტექნოლოგიების ალტერნატივების ანალიზსაც. დოკუმენტში განხილულია მხოლოდ ინდუქციური ღუმელების მოწყობა, თუმცა არ არის დასაბუთებული, თუ რატომ შეირჩა ეს კონკრეტული ტექნოლოგია გარემოზე ნაკლები ზემოქმედების თვალსაზრისით (მაგ. ენერგოეფექტურობა, გაფრქვევების ინტენსივობა) სხვა შესაძლო ალტერნატივებთან შედარებით.

არაქმედების ალტერნატივის განხილვისას ძირითადად ყურადღება გამახვილებულია დასაქმებასა და ხელფასებზე ზეგავლენის ე.წ. ქმედებით და ქმედების გარეშე პრინციპზე. ეს მსჯელობა საჭიროებს მეტ დასაბუთებას და მკაფიო ეკონომიკურ გათვლებს, რათა ნულოვანი ალტერნატივის უარყოფა იყოს სარწმუნო.

3. ხარჯ-სარგებლიანობა

გზშ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის რაოდენობრივი ანალიზი. ალტერნატივების განხილვისას მოყვანილი მსჯელობა არის მხოლოდ ზოგადი ხასიათის და არ ეყრდნობა ეკონომიკურ გათვლებს, რაც შეუძლებელს ხდის პროექტის რეალური ეკონომიკური ეფექტურობისა და გარემოსდაცვითი დანახარჯების თანაფარდობის შეფასებას.

4. გარემოს არსებული მდგომარეობის შეფასება

გზშ დოკუმენტში წარმოდგენილია 6.1 ქვეთავი - საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი. თუმცა, აღნიშნული ქვეთავი განიხილავს ზოგადად თერჯოლის მუნიციპალიტეტის გარემო პირობებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემოს რეალური მდგომარეობის შესახებ არის ჩვენთვის ცნობილი სულ მცირე ერთი მნიშვნელოვანი საკითხი (უკანონო მშენებლობა), რომელიც საერთოდ არ არის ასახული

მიმდინარე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების ანგარიშში.

5. წარმადობის გაზრდა

ანგარიშის მე-2 თავში (გვ. 5) მოყვანილია კოდექსის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტის ციტატა: “ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, ექსპლუატაციის პირობების შეცვლას ან/და წარმადობის გაზრდას“. აუცილებელია მკაცრად გაიმიჯნოს, დაგეგმილი ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან თუ არამნიშვნელოვან ცვლილებას, ვინაიდან წარმადობის **მკვეთრი ზრდა** (იხ. ცხრილი 4.1.2 და ცხრილი 4.1.6) შესაძლოა სცდებოდეს პროექტის ექსპლუატაციის ცვლილების ფარგლებს და მოითხოვდეს კოდექსით გათვალისწინებულ სრულფასოვან სკრინინგის, სკოპინგის და გზშ პროცედურებს.

ცხრილი 4.1.2.

ფეროშენადნობების დასახელება	წარმადობა ტ/დღ		წარმადობა ტ/წელ		შენიშვნა
	ერთი ღუმელი	სამი ღუმელი	ერთი ღუმელი	სამი ღუმელი	
ფეროსილიკომანგანუმი	35	105	11550	34650	წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობაა 330
ფერომანგანუმი	35	105	11550	34650	
ფეროსილიციუმი	24	72	7920	23760	

ცხრილი 4.1.6.

ფეროშენადნობების დასახელება	წარმადობა ტ/დღ	წარმადობა ტ/წელ	შენიშვნა
ფეროსილიკომანგანუმი	260	85800	წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობაა 330
ფეროქრომი	240	79200	
65-75 % ფეროსილიციუმი	200	66000	

6. სადემონტაჟო სამუშაოები

ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილია არსებული ძირითადი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული სასათბურე მეურნეობის დემონტაჟი და მის ადგილას ნედლეულის, კერძოდ კი მანგანუმის მადნისა და კოქსის საწყობის მოწყობა. მიუხედავად დემონტაჟის ფაქტის ხსენებისა, დოკუმენტში არსად არ არის მკაფიოდ მითითებული და დასაბუთებული:

- სად დასაწყობდება სადემონტაჟო მასალები: სასათბურე მეურნეობის კონსტრუქციები (მეტალის კარკასი, მინა ან პოლიეთილენი, საირიგაციო სისტემები) დემონტაჟის შემდეგ კლასიფიცირდება როგორც სამშენებლო/მყარი ნარჩენი ან მეორადი ნედლეული. დოკუმენტში არ არის ნაჩვენები საწარმოს შიდა ტერიტორიაზე არსებული ის სპეციალური დროებითი მოედანი, სადაც ეს მასალა უსაფრთხოდ დასაწყობდება.

- მოხდება თუ არა მისი ახალ ადგილზე გადატანა: ტექსტში არ არის მითითებული, გეგმავს თუ არა კომპანია ამ სათბურის ხელახლა აწყობას ქარხნის სხვა (თავისუფალ) ნაკვეთზე, თუ კონსტრუქციები საერთოდ გაიტანება ობიექტის ტერიტორიიდან (მაგალითად, ჯართში ჩასაბარებლად ან ნარჩენების ნაგავსაყრელზე).

7. მოძველებული სამართლებრივი აქტების დამოწმება

ანგარიშის მე-3 თავში (გვ. 6) ალტერნატივების ანალიზის შეფასებისას ავტორი ეყრდნობა „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებს. აღნიშნული დებულება (ძველი „გზშ-ის შესახებ“) ძალადაკარგულია 2018 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ამოქმედდა ახალი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი. ნებისმიერი მითითება უნდა გაკეთდეს უშუალოდ კოდექსის მოთხოვნებზე.

დასკვნა

წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში უხეშად აღვევს საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნებს, შეიცავს არსებით ტექნიკურ ხარვეზებს და წარმოადგენს გარემოსდაცვითი სამართალდარღვევის ლეგალიზების მცდელობას. მიგვაჩნია, რომ საქმიანობაზე უნდა შეწყდეს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება და საქმე გადაეცეს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს უნებართვო სამშენებლო სამუშაოების სასწრაფო იძულებითი შეჩერების, კომპანიის დაჯარიმებისა და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მიყვანის (დემონტაჟის) მიზნით.